საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„დამოუკიდებელი საქართველო“



გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო". 1926–39 პარიზი

„დამოუკიდებელი საქართველო“ („La Géorgie Indépendante"), ყოველთვიური ქართულენოვანი გაზეთი, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული ფრონტის ორგანო.

გამოდიოდა პარიზში 1926–39 (№1–159) წლებში. იბეჭდებოდა გაზეთის ფორმატზე 4 გვერდად (ზოგჯერ 8 გვერდადაც), 1928-იდან 1939-მდე კი (№25–159) გამოდიოდა 16-გვერდიანი ჟურნალის სახით.

გაზეთის რედაქტორები იყვნენ ცნობილი ქართვ. პოლიტიკური და ეროვნული მოღვაწეები: ი. გობეჩია, გ. ურატაძე და ს. ფირცხალავა. გაზეთთან თანამშრომლობდნენ ქართვ. და უცხოელი ავტორები: ნ. ჟორდანია, გ. გვაზავა, ი. გობეჩია, შ. ამირეჯიბი, ს. ფირცხალავა, ნ. რამიშვილი, ალ. ასათიანი, მიხ. წერეთელი, ი. კეჭაყმაძე, ნ. ჭუმბურიძე, ე. შტრაუსი, რ. მაკდონალდი, ე. ბერშტეინი, ა. რენბერგი და სხვ.

„დ. ს-ს" პროგრამა, მიზანი და მიმართულება ასახულია 1926 წლის №1-ში გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში – „დამოუკიდებლობისაკენ ". „მთლიანი ფრონტით დამოუკიდებლობისაკენ!" – ამ სამი სიტყვით ამოიწურება გაზეთის დანიშნულება და მიზანი. გაზეთში გამოქვეყნებული მასალები თემატურად შემდეგნაირად იყოფა: მოწინავე სტატიები, წერილები, საქართველოს საკითხის გარშემო, კავკასია, კორესპონდენციები,

ქართველები უცხოეთში, საქართველოს ამბები, უცხოეთი, ბიბლიოგრაფია და სხვადასხვა. გაზეთს ჰქონდა მუდმივი რუბრიკები: „საქართველოს საკითხი უცხოეთში", „რუსთაველიანა", „ქართველები პარიზში" და სხვ.

„დ. ს-ში" ქვეყნდებოდა ისტ. დოკუმენტები, უნიკალური პუბლიკაციები და ფოტოილუსტრაციები. ქართ. ემიგრანტულ ლიტერატურასა და ჟურნალისტიკაში ბევრი დაწერილა 1918 წლის 26 მაისზე, საქართვ. დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტ. დღეზე, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გაზ. „დ. ს-ს" 1927 №17-ის პუბლიკაცია, სადაც გამოქვეყნებულია ამ დღესთან დაკავშირებული უცნობი დეტალები.

„დ. ს-ში" 1933 წელს (№86– 92) გამოქვეყნებულია წერილების სერია „აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს", რ-შიც სკრუპულოზურობითა და პროფ. სიღრმით დახატულია XX ს. 20–30-იანი წლების აფხაზეთში შექმნილი სოც.-ეკონ. თუ კულტ.-*პოლიტ.* მდგომარეობის სურათი, ნაწინასწარმეტყველებია XX ს-ის ბოლოს მომხდარი ტრაგიკული მოვლენები.

„დ. ს-ს" ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს 20–30-იანი წლების საქართვ. ისტ., პუბლიცისტიკის, ქართ. სოც. და *პოლიტ.* აზრისა და ემიგრაციის ისტ. შესასწავლად.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 2, თბ., 2001.